ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის წესი

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავი.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი.

ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება მითითეული თავით დადგენილი წესით. ამავე თავით დადგენილი წესით საჩივრდება ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან.

ამასთან, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

დაინტერესებული მხარე *– ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი*

ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი *– ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;*

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი *–ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები;*

ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადა:

- ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. (მაგალითად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება (საჯარიმო ქვითარი) შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში).
- ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

  ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებს. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ

სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

- სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
- ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
- საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;
- ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა

ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. კერძოდ მასში მითითებულ უნდა იქნეს:

- ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;
- ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
- ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის პირადი ნომერი იმ შემთხვევაში, თუ მისამართად მიეთითება საქართველოს რეგიონები;
- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;
- გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;
- მოთხოვნა;
- გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
- ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის;
- თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი;
- თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანება წარმომადგენლის მეშვეობით, ადმინისტრაციულ საჩივარს უნდა დაერთოს სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა.

ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

_____

(ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის/წარმომადგენლის სახელი და გვარი)

_____

(ფაქტობრივი მისამართი)

_____

*(პირადი ნომერი
იმ შემთხვევაში, თუ მისამართად
მიეთითება საქართველოს რეგიონები)*

_____

ტელეფონის ნომერი

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

_____
_____
_____
_____
_____

(ადმინისტრაციულ საჩივარში გარკვევით უნდა მიეთითოს მოთხოვნა, ასევე გარემოებანი, რომელებსაც ეფუძნება მოთხოვნა)

დანართი:

1. _____
2. _____

(ფურცლების საერთო რაოდენობა)

*ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის ხელმოწერა,
ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის თარიღი*